სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

54672729573821

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210766533

რეგისტრაციის თარიღი

22.07.2021 წ

ნოტარიუსი: დავით მეფარიშვილი
მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 104
ტელეფონი: 2477029, 598262299, 593262299

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაორ ივლისს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N104-ში, მომმართა გიორგი ხუციშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს მარიამ პაპუკაშვილს. მე დავადგინე მისი პიროვნება, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი ხუციშვილმა (დაბ. 02.03.1982წ, პ/ნ № 59001014461, რეგისტრაციის მის. საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი, N 15, ბინა 15) მომმართა, მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამიჩნდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მინდობილობის მინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაორ ივლისს მე, გიორგი ხუციშვილი (დაბ. 02.03.1982წ, პ/ნ № 59001014461, რეგისტრაციის მის. საქართველო, გორის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გორი, თამარ მეფის V კვარტალი, N 15, ბინა 15), როგორც შპს "კალასი"-ს (ს/ნ 205011217) წარმომადგენელი, შემდეგში „მარწმუნებელი", ამ მინდობილობით მარიამ პაპუკაშვილს (დაბ. 10.08.1992წ, პ/ნ № 01008044858, რეგისტრაციის მის. საქართველო, ქალაქი თბილისი, თენგიზ აბულაძის ქუჩა, N 9, ბინა 3) , (შემდეგში „რწმუნებული") ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "კალასი" (ს/ნ 205011217) საპროექტო და სამშენებლო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით. მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული შპს კალასს (ს/ნ 205011217) წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, არქიტექტურის საქალაქო/მუნიციპალურ სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ურბანული განვითარების სამსახურში, სხვა საქალაქო და მუნიციპალურ სამსახურებში, ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში, ბუნებრივი გაზის/ ელ.ენერგიის/ წყალმომარაგების/ კომუნიკაციების ლიცენზიანტებთან, იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ სამინისტროში, დეპარტამენტში, სააგენტოში, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში.

რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს განცხადებას, საჩივარს და შეიტანოს ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში; აწარმოოს ქონების ლეგალიზაციასთან, გამიჯვნასთან, დაყოფასთან, გაერთიანებასთან, საზღვრების დადგენასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, გაზიფიკაციასთან, ელექტროფიკაციასთან, წყალმომარაგებასთან და წყალარინებასთან, საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმებასთან და შესაბამისი თანხმობების/ნებართვების/მოწმობების მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, გასცეს/გამოითხოვოს/მიიღოს საკუთრების /ფლობის უფლებასთან დაკავშირებული ან/და ამ უფლებიდან გამომდინარე ნებისმიერი თანხმობა/ნებართვა/მოწმობა. განახორციელოს მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტი, დაგეგმარება/გადაგეგმარება, მიშენება/დაშენება, საკომუნიკაციო ქსელებთან (ელ.ენერგია, წყალმომარაგება/წყალარინება, ბუნებრივი გაზი, სატელეკომუნიკაციო და სხვ) მიერთება/გათიშვა, მახასიათებლების სხვაგვარი შეცვლა, რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად, გადაიხადოს/დაიბრუნოს ბაჟი ან/და სხვა გადასახადები (მათ შორის კომუნალური) და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

რწმუნებულს უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია 5 წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაორი ივლისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 3 თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში.

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია სულ: 13.8 ლარი, მათ შორის 31.7 მუხლის საფუძველზე 10 ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 ლარი 39.1. მუხლის საფუძველზე და დღგ 1.8 ლარი საგადასახადო კოდექსის 166 მუხლის საფუძველზე.

ხელმოწერა: ____________________

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი

01034004756

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

74197939989021

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210617568

რეგისტრაციის თარიღი

17.06.2021 წ

ნოტარიუსი: ლელა ინწკირველი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეჩერის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას ოცდაერთი წლის ჩვიდმეტ ივნისს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსს ქ. თბილისში, ლელა ინწკირველის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა ქალა ქმედუნარიანმა პირმა – ბატონმა **დავით მიქიაშვილმა** (დაბადებული 17.05.1958 წ. პირადი №01024016641, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ლ. არდაზიანის ქუჩა №23).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

დავით მიქიაშვილმა განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის"** (რეგისტრაციის დრო: 14/12/1995 წ., საიდენტიფიკაციო №211358975, რეგისტრაციის №5ა/4-244, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი, I მიკრორაიონი, ი. პეტრიწის ქ.) დირექტორი და ერთპიროვნულად წარმოადგენს ამ კომპანიას;

ბ) როგორც **შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის"** დირექტორს, სურს, **შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის"** სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილება მიანიჭოს **შპს „კალასს"** (რეგისტრაციის დრო: 15/08/2003 წ., საიდენტიფიკაციო №205011217).

მან მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება ჩემ მიერ.

მე შევამოწმე **დავით მიქიაშვილის** უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების დრო: B20057049, 23/07/2020 14:56:45).

ბ) შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის" წესდება (დამოწმებული 11.12.1995 წ. სახელმწიფო ლიცენზიის მქონე ნოტარიუს თ. დუღაშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №2-1285);

შესაბამისად, ვადასტურებ, რომ **დავით მიქიაშვილის** უფლებამოსილება უწყვეტია.

მე დავადგინე მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შინაარსი, მარწმუნებელს განვუმარტე წინამდებარე გარიგების დადების სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ:

„დავით მიქიაშვილმა (დაბადებული 17.05.1958 წ. პირადი №01024016641, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ლ. არდაზიანის ქუჩა №23),

როგორც **შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის"** (რეგისტრაციის დრო: 14/12/1995 წ., საიდენტიფიკაციო №211358975) დირექტორმა,

შპს „კალასს" (რეგისტრაციის დრო: 15/08/2003 წ., საიდენტიფიკაციო №205011217) (რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „წარმუნებული"),

მიანიჭა **შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის"** (რეგისტრაციის დრო: 14/12/1995 წ., საიდენტიფიკაციო №211358975) წარმომადგენლის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

1. რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისის, დიდი დიღომი, I მიკრორაიონი, ი. პეტრიწის ქუჩა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 13160.00 კვ. მ. საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.002) თვით რწმუნებულის მიერ დელეგირებული პროექტის განხორციელების ფარგლებში იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიის სსიპ-ებთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, აღიარების კომისიაში, ნებისმიერ კომისიაში, ადმინისტრაციულ თვითმმართველობის და მუნიციპალურ ორგანოებში და სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, კომუნალური მომსახურებისა და პროდუქტების (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, წყალი და სხვა) მიმწოდებელ ნებისმიერ სუბიექტთან უზრუნველყოს ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთზე და/ან მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება **(საკუთარი სახელით)**, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვით, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები ზემოთ მითითებულ ორგანოებში, გასცეს თანხმობები, ხელი მოაწეროს და აწარმოოს ყველა საქმე / შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების სრულფასოვნად განსახორციელებლად.

2. წინამდებარე აქტით დადგენილი ნორმები ვრცელდება როგორც როგორც ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთისადმი (მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ თბილისის, დიდი დიღომი, I მიკრორაიონი, ი. პეტრიწის ქუჩა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 13160.00 კვ. მ. საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.002), ისე ამ ნაკვეთის დაყოფის შედეგად მიღებული ნებისმიერი / ყველა ნაკვეთისადმი.

მუხლი 2. უფლებამოსილების მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ

1. რწმუნებულს უფლება აქვს, მარწმუნებლისადმი საკუთარი პასუხისმგებლობის შენარჩუნებით წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს. ამასთანავე, რწმუნებული წინამდებარე აქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას ახორციელებს რწმუნებულის დირექტორის მეშვეობით.

მუხლი 3. უფლებამოსილების ვადის შესახებ

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს **განსაზღვრული ვადით და ძალაშია 2024 წლის 17 ივნისის ჩათვლით.**

2. მარწმუნებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გააუქმოს წინამდებარე აქტი; ამასთანავე, იგი ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს რწმუნებულს.

3. უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება სანოტარო აქტით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

2. წინამდებარე აქტი შედგენილია 5 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს."

დანართები:

I. წინამდებარე აქტის ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი:

ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების დრო: B20057049, 23/07/2020 14:56:45).

II. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმის" წესდება (დამოწმებული 11.12.1995 წ. სახელმწიფო ლიცენზიის მქონე ნოტარიუს თ. დულამვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №2-1285);

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლებისა, საგადასახადო კოდექსის 159.1ბ და 166 მუხლები):

ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 11.80 ₾ (ნოტარიუსის საზღაური 10.00 ₾; დღგ: 1.80 ₾);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ₾ (დღგ-ს ჩათვლით);

სულ: 13.80 ₾.

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებელს/წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მარწმუნებელმ / წარმომადგენელმა წაიკითხა აქტი და განაცხადა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი
შპს „ავტოსერვისი დიდი დიღმი"
(დირექტორი დავით მიქიაშვილი)

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

ნაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20057049, 23/07/2020 14:56:45

სუბიექტი

აფირმო სახელწოდება:	შპს ავტოსერვისი დიდი დიღომი
ამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
აიდენტიფიკაციო ნომერი:	211358975
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	5ა/4-244; 14/12/1995
მარეგისტრირებელი ორგანო:	საბურთალოს რ-ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი, I მ/რ, ი. პეტრიწის ქ.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის შიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - დავით მიქიაშვილი, 01024016641

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
დავით მიქიაშვილი, 01024016641	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

tp://public.reestri.gov.ge

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად მიმართეთ განცხადებით ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



აკიბატულია
ფურცლად